

შპს ნიკოთაი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

შპს ნიკოთაი

ფინანსური ანგარიშგება მსს ფასს-ის მიხედვით
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს ნიკოთაი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

შინაარსი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება3

მოგება-ზარალის ანგარიშგება.....4

ფულადი სახსრების მოძრაობა.....5

კაპიტალის ცვლილებების უწყისი.....5

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....6

შპს ნიკოთაი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

მაჩვენებლის დასახელება	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
აქტივები	2,026,976	1,342,699	861,956
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,264,736	759,804	496,782
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	365,328	409,341	105,404
მარაგები	247,075	43,189	173,192
მარაგები	247,075	43,189	173,192
ძირითადი საშუალებები	149,837	130,365	86,578
ძირითადი საშუალებები - მანქანა დანადგარები	149,837	130,365	86,578
ვალდებულებები	253,138	426,410	609,083
სავაჭრო ვალდებულებები	252,280	426,410	607,831
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ			1252
საგადასახადო ვალდებულებები			
სხვა ვალდებულებები	858		
საკუთარი კაპიტალი	1,773,838	916,289	252,873
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1,773,838	916,289	252,873
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	2,026,976	1,342,699	861,956

დირექტორი

დენიზ აიძინი



შპს ნიკოთაი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

მოგება-ზარალის ანგარიშგება

	2024	2023
საოპერაციო შემოსავალი	2067857	3042459
შემოსავალი საქონლის-მომსახურების რეალიზაციიდან	2067798	3042459
საერთო საოპერაციო შემოსავალი	2067857	3042459
გაყიდვის თვითღირებულება	-567065	-1694328
საერთო მოგება	1500792	1348131
საოპერაციო ხარჯები	-522841	-381844
შრომის ანაზღაურება	-337673	-357692
იჯარის ხარჯი	-11269	
ძირითადი საშუალებების ცვეთა	-28655	-24,152
მივლინების ხარჯები	-24162	
სხვა საერთო ხარჯები	-121082	
საოპერაციო მოგება	977951	966287
არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები	11415	-305799
არასაოპერაციო შემოსავალი	113578	35346
საპროცენტო შემოსავალი	55256	16212
შემოსავლები კურსთაშორის სხვაობიდან	58251	19134
შემოსავალი კრედიტორული დავალიანების ჩამოწერისას	71	
არასაოპერაციო ხარჯები	-102163	-341145
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	-67572	
კონვერტაციის შედეგი (ზარალი)	-2684	
ზარალი დებიტორული დავალიანების ჩამოწერისას	-372	
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	-7368	-303993
საგადასახადო ხარჯი	-24167	-37152
მოგება (ზარალი) პროცენტებისა და გადასახადით დაბეგვრამდე	989366	660488
საღირცხვო მოგების გადასახადი		
მოგება (ზარალი)	989366	660488

დირექტორი

დენიზ აიძინი



6-14 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს ნიკოთაი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.
ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	2023	2024
საოპერაციო საქმიანობა		
მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები	3 307 570	2301661
მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	-2 146 361	-1419727
დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	-254 763	-214797
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	906 446	-16800
საფინანსო საქმიანობა		650337
ხაზინაში გადახდილი ფულადი სახსრები	-446 052	-316668
ანაბარზე დარიცხული პროცენტი	16 212	55106
არასაოპერაციო ხარჯი		-27699
გადახდილი პროცენტები		
კაპიტალის ზრდა/შემცირება	-200 000	-130100
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-629 840	-419361
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	496 782	759804
სავალუტო კურსის ეფექტი	-13 584	273956
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	759 804	1264736

კაპიტალის ცვლილების უწყისი

	2023	2024
საწყისი ნაშთი	252 873.00	916 289.00
წლის წმინდა მოგება	660 488.00	989 366.00
კაპიტალის შემცირება	-210 526.00	- 136 947.00
კაპიტალის გაზრდა		
კაპიტალის სხვა ცვლილებები	213 454.00	5130.00
საბოლოო ნაშთი	916 289.00	1 773 838.00

დირექტორი

დენიზ აიძინი



შპს ნიკოთაი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

შპს ნიკოთაი არის 2014 წლის 28 ნოემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონი, დიდი დიღომი საცხოვრებელი რაიონი, (ნაკვეთი 003/001), (ნაკვეთი 03/006)

დამფუძნებლია: დენიზ აიდინი (100%) პ/ნ 31909009078, U 10003313 (თურქეთის მოქალაქე)

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა: ჰიდროსაიზოლაციო მოსაპირკეთებელი სამუშაოები.

კომპანიის ძირითადი კონტრაქტორები არიან საქართველოში რეგისტრირებული სამშენებლო კომპანიები.

კომპანიას ხელმძღვანელობს დირექტორი დენიზ აიდინი

2. მომზადების საფუძველი

სააღრიცხვო პრინციპები

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით. კომპანიის ხელმძღვანელობას და მფლობელებს სურვილი აქვთ განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე საფუძველი, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობას. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადდება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

შეფასების და წარსადგენი ვალუტა

სამუშაო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. უცხოური ვალუტა აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ

შპს ნიკოთაი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის. დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში, რომელშიც ისინი წარმოიშვა. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი-საკურსო სხვაობა.

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
1 დოლარი/ლარი	2.8068	2.6894
1 ევრო/ლარი	2.9306	2.9753

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა უნდა განხორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით. მცირე რემონტისა და ტექნიკური ხარჯები აღიარდება ხარჯად შესაბამისი პერიოდის მოგება/ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალების გაყიდვის ან გამოყენებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში. ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ განხორციელდეს აქტივის

თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

შპს ნიკოთაი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

ძირითადი საშუალებები ჯგუფი

სასარგებლო
მომსახურების ვადა

მანქანა-დანადგარები	10 წელი
საოფისე ავეჯი და ინვენტარი	5 - 10 წელი
ავტომანქანები და სპეც.ტექნიკა	5-10 წელი

აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო გამოყენების ვადა ექვემდებარება გადახედვას თითოეულ საანგარიშო პერიოდის ბოლოს. შეფასების ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულ საფუძველზე.

ძირითადი საშუალების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან გამოყენებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნეტო საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებას ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალურ მარაგს კომპანია ძირითადად გამოიყენებს მოსაპირკეთებელი სამუშაოებში. მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. სასაქონლო მატერიალურ მარაგს კომპანია ძირითადად გამოიყენებს მომსახურებაში მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარება ხდება გარიგების ფასით. შემდგომ საწარმო ფინანსურ აქტივებს აფასებს თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

შპს ნიკოთაი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის. საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია

თვითღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურების ზარალს მოგებაში ან ზარალში.

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც:

(ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;

(ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს.

ფინანსური ვალდებულებები

საწარმოში ფინანსური ვალდებულების თავდაპირველი აღიარება ხდება გარიგების ფასით. მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის შეძენის შემთხვევაში, ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით, რომელიც, როგორც წესი, არის ანგარიშ-ფაქტურაში მითითებული ფასი.

კომპანია ფინანსურ ვალდებულებას (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილს) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებს, როდესაც ის შესრულდება - ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

სესხები

კომპანიას სასესხო ვალდებულება არ გააჩნია.

საკუთარი კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი მიიღება საწარმოს მომგებიანი საქმიანობებიდან და საწარმოში რჩება თავის საოპერაციო საქმიანობაში გამოყენების მიზნით,

მინუს მესაკუთრეთა ინვესტიციის შემცირება, რაც განაპირობა არამომგებიანმა ოპერაციებმა და მესაკუთრეებზე განხორციელებულმა განაწილებებმა.

შემოსავლების აღიარება

6-14 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს ნიკოთაი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის. იმისათვის, რომ შემოსავალი იქნეს აღიარებული კომპანიამ უნდა შეასრულოს ხუთ-საფეხურიანი პროცესი:

1. მომხმარებელთან დადებული ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
2. შესრულების ვალდებულებების განსაზღვრა;
3. გარიგების ფასის განსაზღვრა;
4. გარიგების ფასის განაწილება შესრულების ვალდებულებებზე;
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც შესრულების ვალდებულება(ებ)ი დაკმაყოფილებულია.

შემოსავლის აღიარება ხდება იმ დროს ან დროის განმავლობაში, როდესაც კომპანია ასრულებს ვალდებულებებს კლიენტებისთვის დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემით.

აქტივის გადაცემა ხდება მაშინ, როდესაც მომხმარებელი მიიღებს კონტროლს ამ აქტივზე. აქტივის კონტროლი გულისხმობს აქტივის გამოყენებას და არსებითად ყველა დარჩენილი სარგებლის მიღებას.

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირდება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარიგების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სხვა შემოსავლების აღიარება

საოპერაციო და საპროცენტო შემოსავლების გარდა, სხვა შემოსავლების აღიარება ხდება, როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში,

მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

შპს ნიკოთაი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

4. ძირითადი საშუალებები

კომპანია არ ფლობს მიწას და შენობებს, ძირითადი საშუალებები 2024 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ძირითადი საშუალებები	მიწის ნაკვეთები	შენობა	მანქანა-დანადგარები	სპეც. ტექნიკა	ავიჯი და ოფისის აღჭურვილობა	სულ
31-Dec-23			30327,00	98918,00	1120,00	130365,00
შემოსვლა			16938,00	25914,00	3081,00	45330,00
ცვეთა და გაუფასურება			5083,00	23160,00	332,00	28575,00
გასვლა						
31-Dec-24		-	42182,00	103787,00	3869,00	149838,00

კომპანიის მიერ დარიცხული ცვეთის მთლიანი თანხა აისახა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2023	2024
ნაშთი სალარო		
ნაშთი ბანკი	759,804	1,264,736
სულ	759,804	1,264,736

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები დენომინირებულია ლარში.

6-14 გვარდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს ნიკოთაი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

6. მარაგები

კომპანიის მარაგები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სმფ	მასალები	სხვა მარაგები	სულ
31.დეკ.23	42562.00	627.00	43189.00
შემოსვლა-დამზადება	783518.00	19123.00	802641.00
გასვლა-რეალიზაცია	581588.00	18434.00	600022.00
31.დეკ.24	245759.00	1316.00	247075.00

კომპანიის მარაგების ძირითადი ნაწილი არის მასალა, რომელსაც კომპანია იყენებს კონტრაქტორებთან გაფორმებული მოსაპირკეთებელ ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებში, როგორც მიმდინარე დაუსრულებელ სამშენებლო ობიექტებზე ასევე დასრულებულ სამშენებლო ობიექტებზე.

7. სავაჭრო მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნებს წარმოადგენს მომხმარებლებისგან მისაღები ფულადი სახსრები, რომელთა დაფარვის ვადა 12 თვემდეა. თუმცა სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე კომპანია იღებს ვალდებულებას საგარანტიო მომსახურებაზე, რის გამოც ხდება გარკვეული პროცენტის დაკავება 1 წელზე მეტი ვადით. კომპანიას არ აქვს აღიარებული სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი, რადგან არ გააჩნია მისაღებ თანხებთან დაკავშირებული დანაკარგების გამოცდილება.

	31.12.2022	31.12.2023	31.12.2024
სავაჭრო მოთხოვნები	147436.00	345069.00	388508.00

8. გადახდილი ავანსები

კომპანიის მოკლევადიანი მოთხოვნების ნაწილია მომწოდებელზე გადახდილი ავანსები. კომპანია ძირითადად შესყიდვებს ახორციელებს ადგილობრივი მომწოდებლებისგან. მათზე გადახდილი ავანსი აღირიცხება, როგორც მოკლევადიანი მოთხოვნა და იფარება საქონლის ან მომსახურების მიღების მომენტში. მიმდინარე პერიოდში გადახდილი ავანსები არ გააჩნია.

	31.12.2022	31.12.2023	31.12.2024
გადახდილი ავანსი	11484.00	3207.00	6393.00

შპს ნიკოთაი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

9. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები კომპანიას წარმოექმნება მომსახურების მიწოდების მომენტში. ვალდებულებების დაფარვის თარიღი არ აღემატება 12 თვეს. ვადაგადაცილებული სავაჭრო ვალდებულება კომპანიას არ აქვს.

	31.12.2022	31.12.2023	31.12.2024
სავაჭრო ვალდებულებები	79.00	1206.00	53093.00

10. მიღებული ავანსები

კომპანია ავანსებს იღებს კონტრაქტორებისგან, რომელსაც ეტაპობრივად გამოქვითავს შესრულებული სამუშაოს პროპორციულად.

	31.12.2022	31.12.2023	31.12.2024
მიღებული ავანსები	607830.00	471206.00	228226.00

11. მიღებული სესხები

კომპანიას მიღებული სესხი არ გააჩნია.

12. ამონაგები

კომპანიის ძირითადი შემოსავალი შედგება ჰიდროსაიზოლაციო მოსაპირკეთებელი სამუშაოების შესრულებიდან. ზოგიერთ შემთხვევაში მარაგის რეალიზაციიდან. ამონაგების აღიარება ხდება, როდესაც კონტრაქტორთან ფორმდება შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტი და მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზია არ აქვთ.

	2023	2024
საოპერაციო შემოსავალი	3 042 459.00	2 067 857.00

13. ხარჯები

კომპანიის ძირითად ხარჯებს წარმოადგენს სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო ჰიდროსაიზოლაციო მასალა და დამხმარე მასალა, რომლის ჩამოწერაც ხდება საშუალო შეწონილი მეთოდით შესრულებული სამუშაოს აქტის საფუძველზე.

შპს ნიკოთაი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.
14. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რაც მოითხოვს დამატებით კორექტირებას და ახსნა-განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში.

დირექტორი:

დენიზ აიდინი

25.09.2025



გამოვლენილი დარღვევის შემდგომ მოცემულ ანგარიშგებაში დამატებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება შესადარის (2023 წელი) პერიოდზე.

დირექტორი:

დენიზ აიდინი

19.03.2026

